ცნობა
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

10 აპრილი, 2012 წელი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ **შემოსავლების სამსახურის პორტალ „ყაზბეგის" შენობის არქიტექტურული პროექტის შედგენის მომსახურების (საკონკურსო განცხადების ნომერი №408)** სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისია:

თავმჯდომარე _____ თამარ მაჭავარიანი

წევრი _____ მარინა მატკava

წევრი _____ ლევან დვალი

წევრი _____ ეკატერინე ძნელაძე

საკონკურსო კომისიის აპარატი:

_____ მაია რუაძე

_____ ირაკლი სიხარულიძე

_____ სოფიკო ვაჩეიშვილი

_____ თორნიკე ხელთუფლიშვილი

შემოსავლების სამსახურის პორტალ „ყაზბეგის“ შენობის არქიტექტურული პროექტის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #2

ქ. თბილისი **10.04.2012 წელი**

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე თამარ მაჭავარიანი

კომისიის წევრები მარინა მატკava, ლევან დვალი

ეკატერინე ძნელაძე

კომისიის აპარატის წევრები მაია რუაძე, სოფიკო ვაჩეიშვილი,

ირაკლი სიხარულიძე, თორნიკე ხელთუფლიშვილი

დღის წესრიგი:

შემოსავლების სამსახურის მიერ შემოსავლების სამსახურის პორტალ „ყაზბეგის“ შენობის არქიტექტურული პროექტის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით კონკურსში (განცხადების უნიკალური N408) კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვა.

მოისმინეს:

კომისიის აპარატის წევრის, ეკატერინე ძნელაძის გამოსვლა, რომელმაც კომისიის სხდომის დამსწრე წევრებს მოახსენა, რომ კონკურსანტის, **შპს ბარნაბიშვილი, გურგენიძე არქიტექტორები“** მიერ შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში (2012 წლის 10 აპრილის 14:00 საათამდე) შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 5 აპრილს გამოცხადებულ კონკურსში წარმოდგენილ იქნა საკონკურსო წინადადება.

განიხილეს:

1. **შპს „ბარნაბიშვილი, გურგენიძე არქიტექტორების“** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის დაწესებული საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტი (რომელიც შედგენილია „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე-6 მუხლის მოთხოვნათა დაცვით) და საკონკურსო წინადადება, რომლის ღირებულება, 23500 (ოცდასამი ათას ხუთასი) ლარი არ აღემატება კონკურსის სავარაუდო ღირებულებას. ამასთანავე, საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დანართი და ინფორმაცია შესაბამისობაშია საკონკურსო მოთხოვნებთან, მათ შორის კონკურსანტის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები.
2. ვინაიდან **შპს „ბარნაბიშვილი, გურგენიძე არქიტექტორების“** მიერ საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია საკონკურსო მოთხოვნებთან კომისიამ იმსჯელა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფციისა და მისი შინაარსის შესახებ. კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი არქიტექტურული კონცეფცია და თითოეულმა წევრმა დააფიქსირა თავისი დადებითი შეფასება აღნიშნულთან დაკავშირებით.

კომისიამ დაადგინა:

1. **შპს ბარნაბიშვილი, გურგენიძე არქიტექტორები“** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

2. „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე–4 მუხლის მე-3 პუნქტისა და შემსყიდველი ორგანიზაციის საკონკურსო პირობების შესაბამისად კომისიის წევრთა ერთობლივი გადაწყვეტილებით კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა **შპს ბარნაბიშვილი, გურგენიძე არქიტექტორები“**, რომელთანაც არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში უნდა გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

კომისიის თავმჯდომარე **/თამარ მაჭავარიანი/**

კომისიის წევრი **/მარინა მატკava/**

კომისიის წევრი **/ლევან დვალი/**

კომისიის წევრი **/ეკატერინე ძნელაძე/**